

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №7

ქ. თბილისი

07.02.2018

სხდომას ესწრებოდნენ:

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრები:

ირაკლი ბურდული - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი (საბჭოს თავმჯდომარე);

ელიზბარ ელიზბარაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს პროფესიონალ ქიმიკოსთა ასოციაციის თავმჯდომარე, ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის პროფესორი (საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე);

გიორგი ოდოშაშვილი - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრანტი (საბჭოს მდივანი)

გიორგი ქვარცხავა - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;

სოფიკო ლომაშვილი - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტთან არსებული დეპარტამენტის განათლების სკოლის ხელმძღვანელი;

გელა გელაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის ელექტრონული ინფორმაციის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი;

გაიანე სიმონია - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო განათლების კვლევისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი;

დიმიტრი ჯაფარიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ეკონომიკისა და ბიზნესის ინსტიტუტის დირექტორი, წარმომადგენლობითი საბჭოს თავმჯდომარე.;

ირინე გოცირიძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის ბიოსამედიცინო ინჟინერიის დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი;

პაატა ბრეკაშვილი - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ კავკასიის ბიზნესის სკოლის სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების დეპარტამენტის დირექტორი;

ნატო გენგიური - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

ლევან გორდუნიანი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:

ლაშა მარგიშვილი - ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

მაია გელაშვილი - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს უფროსი;

ანა ლელაძე - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი;

თამარ აფრასიძე - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები :

1. სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი:

ჯემალ მაგანია - რექტორი;

ელისო მურვანიძე - პროგრამის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი;

მანანა მნათობიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

2. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი:

ირინე დარჩია - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

იოსებ სალუქვაძე - პროგრამის ხელმძღვანელი.

3. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი:

დავით თარხნიშვილი - საბუნებისმეტყველო და საინჟინრო ფაკულტეტის დეკანი;

ელენე ჟურავლიოვა - საბუნებისმეტყველო და საინჟინრო ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;

ნანა დიხამინჯია - კომპიუტერული ინჟინერიის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი;

ნინო ჟვანია - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

4. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი:

ქართლოს ყაჭიაშვილი - პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესორი;

ზურაბ ბაიაშვილი - ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტები:

ნანა იაშვილი;

ია კუპატაძე;

ირაკლი ჟვანია.

მოწვეული ექსპერტები:

ნანა დიხამინჯია;

ვინჩენცო ლაგანი.

საბჭოს სხდომა დაიწყო 16:30 საათზე.

სხდომას ესწრებოდა საბჭოს 12 წევრი. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27² მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ირაკლი ბურდულმა. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების 27⁵ მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ადაპტური ფიზიკური აღზრდისა და რეაბილიტაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ურბანისტიკის ინგლისურენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კომპიუტერული ინჟინერიის ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დიდ მონაცემთა სისტემების ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. ცენტრის წარმომადგენელმა დააყენა შუამდგომლობა, რომ თავდაპირველად განხილულიყო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საკითხი და შემდგომ მომხდარიყო დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ახალი დღის წესრიგი:

1. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დიდ მონაცემთა სისტემების ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ადაპტური ფიზიკური აღზრდისა და რეაბილიტაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კომპიუტერული ინჟინერიის ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ურბანისტიკის ინგლისურენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის განხილვა.

საბჭომ ერთხმად დაამტკიცა დღის წესრიგი.

1. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დიდ მონაცემთა სისტემების ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	დიდ მონაცემთა სისტემები
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ინფორმატიკის ბაკალავრი
კვალიფიკაციის კოდის მითითებით	0401
სწავლების ენა	ინგლისური
კრედიტების რაოდენობა	240

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

თვითაცილება განაცხადა საბჭოს ორმა წევრმა - ელიზბარ ელიზბარაშვილმა და ირინე გოცირიძემ.

საბჭოს თავმჯდომარემ დამსწრე წევრებს შეახსენა, რომ საბჭოს უკვე ნამსჯელი ჰქონდა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით 2018 წლის 17 იანვრის სხდომაზე. აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის მე-8 პუნქტის საფუძველზე, საბჭოს გადაწყვეტილებით, 7 თებერვლის სხდომაზე მოწვეულ იქნა დარგის სხვა ექსპერტებიც, ვინაიდან საკითხის წინა განხილვაზე აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია ექსპერტთა ჯგუფის დასკვნამ და დაწესებულების წარმომადგენლების მიერ ზეპირ მოსმენაზე გაკეთებულმა მოსაზრებებმა. საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მოწვეულმა ექსპერტებმა წარმოდგენილ პროგრამასთან დაკავშირებით შეადგინეს თავიანთი ანგარიში. საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ საბჭოს მიეწოდა ორი მოწვეული ექსპერტის ანგარიში, რომლებმაც შეაფასეს პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა. ამასთანავე, საბჭოს ჰქონდა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის, ჯორჯ ანჯელო პაპადოპულოს დასაბუთებული პასუხი. საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა მოწვეულ ექსპერტებს და სთხოვა მოკლედ გაეცნოთ საბჭოსთვის მათი ანგარიში.

მოწვეულმა ექსპერტმა საბჭოს განუცხადა, რომ დასკვნა მომზადებული იქნა არსებული დოკუმენტაციის გაცნობის საფუძველზე. უნივერსიტეტში ვიზიტი მოწვეული ექსპერტების მიერ არ განხორციელებულა. მოწვეულმა ექსპერტებმა დააფიქსირეს მოსაზრება, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა იყო კვალიფიციურად შედგენილი. მასში სიღრმისეულად და ობიექტურად იყო შეფასებული სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამა. ექსპერტებმა განაცხადეს, რომ არ არსებობდა არავითარი დადასტურებული გარემოება, რომლის საფუძველზეც შესაძლოა მიჩნეულ ყოფილიყო, რომ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამა შინაარსიდან და რესურსებიდან გამომდინარე საჭიროებდა განსხვავებულ შეფასებას. მათ ასევე განაცხადეს, რომ ექვსი შეტანის საფუძველი აკრედიტაციის ექსპერტების დასკვნაში, იმ არგუმენტით, რომ მათ არ იცოდნენ რა პროგრამას აფასებდნენ, მათი მოსაზრებით, არ არსებობდა. საბჭოს თავმჯდომარემ, ტერმინებთან დაკავშირებული გაუგებრობის აღმოსაფხვრელად სთხოვა მოწვეულ ექსპერტებს კიდევ ერთხელ განემარტათ, იყო თუ არა შინაარსობრივი სხვაობა ორ ტერმინს - დიდ მონაცემებს და დიდი მონაცემების სისტემას შორის. სიტყვა გადაეცა მოწვეულ ექსპერტს, ვინჩენცო ლაგანს, რომელმაც განაცხადა, რომ პროგრამაში აქცენტი კეთდებოდა სისტემების ანალიზზე. განსხვავება ორ ტერმინს შორის თითქმის არ არსებობდა და რეალურად ისინი ურთიერთ გადაჯაჭვულ ტერმინებს წარმოადგენდა. ექსპერტმა საბჭოს წევრებს მოახსენა,

რომ კითხვები ნაკლები იყო პროგრამის კურიკულუმის შინაარსთან დაკავშირებით. კითხვის ნიშნები არსებობდა მისი მდგრადობის და პრაქტიკული განხორციელების ირგვლივ.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ექსპერტებს, იმასთან დაკავშირებით, თუ რა უნდა ყოფილიყო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაცია. მოწვეულმა ექსპერტმა განაცხადა, რომ მისანიჭებელი კვალიფიკაცია უნდა ყოფილიყო - ინფორმატიკის ბაკალავრი. მოწვეულმა ექსპერტებმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს, რომ ეთანხმებოდნენ აკრედიტაციის ექსპერტების დასკვნას მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისობასთან მიმართებაში. ასევე, მათ რეკომენდაციის სახით დაამატეს, რომ პროგრამის ხარისხის გაუმჯობესებისათვის უმჯობესი იქნებოდა დამატებულიყო გარკვეული საგნები.

მოწვეულმა ექსპერტმა ასევე დასძინა, რომ უნივერსიტეტის თანამშრომლების დოკუმენტაციიდან ირკვეოდა, რომ მათ არ ჰქონდათ შესაბამისი გამოცდილება დიდ მონაცემთა სისტემებთან მუშაობის კუთხით. შესაბამისად, უკეთესი იქნებოდა, რომ თანამშრომელთა კვალიფიკაცია აღნიშნული მიმართულებით უფრო მაღალი ყოფილიყო. მათი გამოცდილება არ ჩანდა არც შრომებში და არც კვალიფიკაციაში. სამ კურსში, რომლებიც პირდაპირ უკავშირდებოდა დიდ მონაცემების შენახვა-დამუშავების სისტემას, დიდ მონაცემების შენახვასა და ანალიზს - არცერთი პროფესორის კვალიფიკაცია არ ჩანდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მოწვეულ ექსპერტს მიმართა, განემარტა ვის გულისხმობდა პროფესორებში, უშუალოდ უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს, თუ მოწვეულ პერსონალს. რაზეც ექსპერტის პასუხი იყო, რომ გულისხმობდა უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს. მოწვეულმა ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ ადმინისტრაციულ პერსონალსა და აკადემიურ პერსონალში აღინიშნებოდა უცხო ენის (ინგლისური ენა) მცოდნე კადრების საგრძნობი ნაკლებობა. იმდენად, რამდენადაც საქმე ეხებოდა ინგლისურენოვან პროგრამას, ექსპერტებს დაუშვებლად მიაჩნდათ მსგავსი ხარვეზის არსებობა.

ექსპერტმა ასევე ხაზი გაუსვა, რომ პროგრამაში ჩართულ პერსონალს ნაშრომები არ ჰქონდათ გამოქვეყნებული უცხოურ გამოცემებში და შემოიფარგლებოდნენ მხოლოდ ქართული ჟურნალებით, რაც პროგრამის ხასიათიდან გამომდინარე ასევე მიჩნეულ იქნა როგორც ხარვეზი.

საბჭოს თავმჯდომარემ მოკლედ შეაჯამა მოწვეულ ექსპერტთა დასკვნა და გამოყო ორი მნიშვნელოვანი თავისებურება პროგრამასთან მიმართებით. ერთი - თუ პროგრამაში დასკვნის შესაბამისად შევიდოდა ცვლილებები, შესაძლებელი იქნებოდა პროგრამის შედეგის მიღწევა, მეორე - საეჭვოება იმისა, რომ პროგრამაში ჩართული პირები გამოცდილებით შეძლებდა გაძლოდა პროგრამას. ექსპერტმა ასევე განაცხადა, რომ ორ საგანში, სილაბუსში გადატანილი იყო წიგნის მთლიანი სარჩევი, რაც მისი აზრით, დაუშვებელი იყო.

საბჭოს თავმჯდომარე შეეხო მოწვეული ექსპერტების ანგარიშს და განაცხადა, რომ მოწვეული ექსპერტების ანგარიში ემთხვეოდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და იქ მოცემულ შეფასებებს.

16:48 საათზე საბჭოს სხდომას შემოუერთდა გიორგი ქვარცხავა, რომელმაც განსახილველ საკითხთან დაკავშირებით განაცხადა თვითაცილება.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა საუბარი დაიწყო ტერმინების განმარტებით, თუ რას ნიშნავდა „big data“ და „big data systems“, განმარტება მოყვანილ იქნა ვიკიპედიიდან. უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ საქმე ეხებოდა არამხოლოდ დიდ მონაცემებს, არამედ მათ მოპოვებას, შენახვას დამუშავებას, დიდი მონაცემების საფუძველზე გადაწყვეტილების მიღებას. წარმომადგენელმა ხაზი გაუსვა, რომ ეს არ იყო მხოლოდ „software“, არამედ მონაცემთა დაცვა და იურიდიული ნორმები.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა ასევე ხაზი გაუსვა, რომ დაუშვებელი იყო დასკვნაში დაწერილიყო დიდ მონაცემთა სისტემის ნაცვლად დიდი მონაცემები. მან დაამატა, რომ

აკრედიტაციის ექსპერტებს არ ესმოდათ რა განსხვავება იყო ინფორმაციულ ტექნოლოგიებსა და დიდ მონაცემთა სისტემებს შორის.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამაში ბევრი ნაკლი იყო და მან იცოდა რა ნაკლებს ეხებოდა საქმე. მან დასძინა, რომ პრობლემა, რომელიც გამოწვეული იყო პროფესორთა გამოცდილების ნაკლებობით საერთაშორისო არენაზე, გამომდინარეობდა საქართველოს მოცემულობით, რაც გულისხმობდა იმას, რომ უცხოეთში წასვლა და ნაშრომების გამოქვეყნება დიდ თანხებთან იყო დაკავშირებული. მან განაცხადა, რომ მთავარი იყო ბირთვი რომელსაც ეს პროგრამა ეყრდნობოდა. პროგრამაში ჩართული იყო მინიმუმ ორი ადამიანი, რომელმაც იცოდა Hadoop. მათ ჰქონდათ მუშაობის გამოცდილება, თუმცა არა სწავლების.

მოწვეულმა ექსპერტმა უნივერსიტეტის წარმომადგენელს სთხოვა მოეყვანა მაგალითი, საბაკალავრო პროგრამისა დიდ მონაცემებში და საბაკალავრო პროგრამისა დიდ მონაცემთა სისტემაში. ექსპერტმა მიმართა უნივერსიტეტის წარმომადგენელს, რომ აქ მთავარი იყო სტუდენტს, რომელიც პროგრამას დაასრულებდა სცოდნოდა მონაცემების დამუშავება, რომ ამ ორი ტერმინის გარჩევა არ იყო მიზანშეწონილი საბაკალავრო პროგრამისათვის. ექსპერტმა განაცხადა, რომ უმჯობესი იქნებოდა საგანი ყოფილიყო შეტანილი პროგრამაში მონაცემთა მოპოვებასთან დაკავშირებითაც.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ არ მიაჩნდა მიზანშეწონილად ცალკე საგნად გამოეტანათ პროგრამაში მონაცემთა მოპოვების დისციპლინა.

მოწვეულმა ექსპერტმა უნივერსიტეტის წარმომადგენელს დაუსვა კითხვა, იმასთან დაკავშირებით თუ სად მუშაობდნენ პროგრამაში ჩართული პირები, რომლებმაც იცოდნენ დიდ მონაცემებზე მუშაობა. უნივერსიტეტის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ მინიმუმ ორმა თანამშრომელმა Hadoop უკვე იცოდა, თუმცა ეს არ იყო ასახული მათ რეზიუმეებში. ისინი მუშაობენ ამ პროგრამის დასახეწად.

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ის თვლიდა, რომ საბაკალავრო პროგრამაში მნიშვნელოვანი კომპონენტი იყო პერსონალი, რომელსაც ინგლისურ ენაზე უნდა ესწავლებინა კონკრეტული საგნები. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანი იყო პერსონალის მიერ ცოდნა და უნარი - გადაეცა დარგობრივი ცოდნა სტუდენტისათვის ინგლისურ ენაზე. საბჭოს თავმჯდომარემ იკითხა, სურდათ თუ არა კიდევ რაიმეს დამატება, რაზეც უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ როდესაც საუბარი იყო უნივერსიტეტის თანამშრომლების მხრიდან ინტერვიუერების დროს თარჯიმნის მოთხოვნაზე, ეხებოდა მხოლოდ ადმინისტრაციის თანამშრომლებს და არა პროგრამაში ჩართულ პირებს.

თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ექსპერტებს, თუ რა რეკომენდაცია ექნებოდათ იმისათვის, რომ პროგრამის შინაარსი შესაბამისობაში ყოფილიყო საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან. რაზეც ექსპერტმა უპასუხა, რომ კურიკულუმი ადეკვატური იყო. გადასახედი იყო სილაბუსები და ეთანხმებოდნენ აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნას კონკრეტული საგნების დამატებასთან დაკავშირებით.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა ექსპერტებს, მართალი იყო თუ არა, რომ ამ პროგრამის ბაკალავრიატის კურსდამთავრებულს უნდა სცოდნოდა იურიდიული საკითხები დიდ მონაცემთა მოპოვებასთან დაკავშირებით, რადგან იურიდიული პარადიგმების არ ცოდნა ამ კუთხით შესაძლოა პოტენციურად საშიში ყოფილიყო მონაცემთა მოპოვების პროცესში. რაზეც ექსპერტმა უპასუხა, რომ ეს ყველაფერი უნდა ყოფილიყო საგნების შინაარსში ან ცალკე საგნად გათვალისწინებული.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს, ჰქონდათ თუ არა მსგავსი ინფორმაცია საგნებში, რაზეც მიიღო პასუხი, რომ ჰქონდათ არა ცალკე საგნად, არამედ ცალკეულ საგნებში ჰქონდათ ინტეგრირებული.

ექსპერტმა მიმართა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს და ურჩია გაეთვალისწინებინათ აკრედიტაციის ექსპერტების რეკომენდაციების სასწავლო კურსებთან მიმართებით. აღნიშნულთან დაკავშირებით უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ამ კუთხით დასკვნას ეთანხმებოდნენ.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა ასევე განაცხადა, რომ საქართველოში პრობლემა იყო თავად მონაცემებზე წვდომის კუთხით. როდესაც მან, როგორც ექსპერტმა შესთავაზა „მაგთის“ დირექტორს მონაცემებზე წვდომა დამუშავების მიზნით, უარი მიიღო. ექსპერტმა განაცხადა, რომ თუ პროგრამას ჰქონდა პრეტენზია უცხოელი სტუდენტების მიღებაზე, საჭირო იყო შესაბამისი სტანდარტების დაკმაყოფილებაც, რაზეც უნივერსიტეტის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ არსებობდა შეთანხმება ორ ინსტიტუტთან, სადაც სტუდენტები გაივლიდნენ პრაქტიკას. ასევე შეთანხმება ჰქონდათ უცხოურ უნივერსიტეტებთან - თეირანსა და ინდოეთში.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა დასძინა, რომ ამ კუთხით ურთიერთობები საქართველოში არ იყოს დარეგულირებული, რაც მის პირად მოსაზრებას წარმოადგენდა.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ რაიმე შეკითხვა. დამატებითი შეკითხვები არ იყო.

17:10 საათზე საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა შესვენება.

17:50 საათზე სხდომა განახლდა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დიდ მონაცემთა სისტემების ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 9

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^ა მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, 27^ბ მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დიდ მონაცემთა სისტემების ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას უარი ეთქვას აკრედიტაციაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ დაინტერესებულ მხარეს განუცხადა, რომ უარყოფითი გადაწყვეტილების მიღების საფუძველი იყო აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები, რომელთა გამოსწორების გარეშეც პროგრამა შედეგებზე ვერ გავიდოდა. ამასთან, საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებები და შეფასება ასევე გაზიარებულ იქნა დარგის მოწვეული ორი ექსპერტის მიერაც.

2. სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ადაპტური ფიზიკური აღზრდისა და რეაბილიტაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ადაპტური ფიზიკური აღზრდა და რეაბილიტაცია
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ადაპტური ფიზიკური აღზრდა და რეაბილიტაცია, 0906 (ამ ფორმულირებით საკვალიფიკაციო ჩარჩოში კვალიფიკაცია არ არსებობს)
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს წევრმა დიმიტრი ჯაფარიძემ განაცხადა თვითაც ილება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საკითხის განხილვას არ ესწრებოდნენ აკრედიტაციის ექსპერტები. საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ვინაიდან დოკუმენტს ყველა საბჭოს წევრი იცნობდა, შესაძლებელი იყო საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს დამსწრე საზოგადოებისთვის გაეცნოთ მათი პასუხი დასკვნასთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა აღნიშნა, რომ პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაცია არ შეესაბამებოდა საკვალიფიკაციო ჩარჩოს.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მათ ექსპერტთა დასკვნის გაცნობის შემდეგ შეიტანეს ცვლილება პროგრამის დასახელებაში, რათა პროგრამა საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან შესაბამისი ყოფილიყო.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს იმის თაობაზე, რომ პროგრამაში ცვლილების შეტანას ჰქონდა თავისი იურიდიული ჩარჩო და ვადები. საექსპერტო დასკვნაზე არგუმენტირებული პასუხი წარმოდგენილ იქნა შესაბამის ვადაში, თუმცა არგუმენტირებული პასუხის წარმოდგენა ექსპერტების დასკვნაზე და პროგრამის დასახელებაში ცვლილების შეტანა ერთსა და იმავეს არ გულისხმობდა. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამის სათაური შეცვლილი იქნა ექსპერტთა ვიზიტის დროს.

საბჭოს თავმჯდომარემ ურჩია დაწესებულების წარმომადგენლებს, რომ უმჯობესი იქნებოდა თუ ისინი დაიცავდნენ იურიდიულად განსაზღვრულ ვადებს.

ცენტრის წარმომადგენელმა, მაია გელაშვილმა განმარტა, რომ როდესაც ცენტრი გამოსცემს ბრძანებას ვიზიტის შესახებ, დაწესებულების მიერ პროგრამაში შეტანილი ცვლილებების შესახებ დოკუმენტაციის წარმოდგენა შესაძლებელია, ბრძანების მიღებიდან 5 დღის ვადაში, ექსპერტთა ვიზიტის განხორციელებამდე. ექსპერტთა ჯგუფი განიხილავს აღნიშნულ დოკუმენტაციას. შესაბამისად, სააკრედიტაციო ვიზიტის დროს ან მას შემდეგ პროგრამაში განხორციელებულ ცვლილებებს ექსპერტთა ჯგუფი და საბჭო მხედველობაში ვერ მიიღებდა.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მათ გაითვალისწინეს ექსპერტთა რეკომენდაციები და გაასწორეს ყველა ის ხარვეზი, რაც დასკვნაში იყო მოცემული. ასევე, რექტორმა აღნიშნა, რომ უცხოელი სტუდენტების ჩარიცხვასთან დაკავშირებულ საკითხებს წყვეტდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს, გაითვალისწინეს თუ არა ექსპერტების რეკომენდაციები და რჩევები პროგრამის შინაარსთან დაკავშირებით. რაზეც უნივერსიტეტის პასუხი იყო, რომ ყველა ძირითადი რეკომენდაცია და შენიშვნა გათვალისწინებულ იქნა. კერძოდ, ბიოქიმია, რომლის გადატანაც ურჩიეს მეორე სემესტრში გადატანილ იქნა, შეცვლილ იქნა საგნის სათაურებიც, მაგალითად, პროგრამის დასახელება - „პროპედევტიკა“ შეიცვალა სახელწოდებით - „შინაგანი სწავლებანი“. ერთ-ერთი არჩევითი საგანი გადატანილ იქნა სავალდებულო საგნად. ზოგიერთ სილაბუსში შესწორდა წინაპირობებიც.

საბჭოს წევრმა, გაიანე სიმონიამ აღნიშნა, რომ გარკვეული რეკომენდაციები ჰქონდა საგნების სახელწოდებებთან დაკავშირებით. კუნთების ბიოქიმიის შეცვლა სასურველი იყო სახელით - კინეზიოლოგია. ამასთანავე, საბჭოს წევრი დაინტერესდა, სად სწავლობდნენ სტუდენტები პირველად დახმარებას, სიმულატორზე თუ რაიმე სხვა საშუალებით. უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პირველადი დახმარების კურსზე მეცადინეობა ხდებოდა საავადმყოფოში, მულაჟზე.

საბჭოს წევრმა გაიანე სიმონიამ აღნიშნა, რომ როცა საქმე ეხებოდა პრაქტიკულ კურსს, მეცადინეობა და გამოკითხვა უნდა ყოფილიყო შესაბამისი. ზეპირი გამოკითხვა პრაქტიკული კურსის დროს შეუსაბამო იყო. გაიანე სიმონია ასევე გამოეხმაურა სასწავლო კურსის სათაურის ცვლილებას - „შინაგანი მედიცინა“ მისი აზრით იყო არა რელევანტური სათაური და უმჯობესი იყო დასახელება - პროპედევტიკა. ამ შემთხვევაში საკითხი ეხებოდა დიაგნოსტიკის საფუძვლებს, და არა შინაგან მედიცინას. ამასთანავე, საბჭოს წევრმა ხაზი გაუსვა იმასაც, რომ საგანი „შესავალი სპეციალობაში“, რომელიც მოთავსებული იყო ზოგადი საგნების ბლოკში, არ წარმოადგენდა ზოგად საგანს და უნდა შესულიყო სპეციალობაზე ორიენტირებულ საგანთა ბლოკში.

ამასთანავე, საბჭოს წევრმა გაიანე სიმონიამ აღნიშნა, რომ შშმ პირის ასაკობრივ ასპექტში ჩაწერა არ იყო რეკომენდირებული და საჭირო იყო გერიატრიაზეც ყურადღების გამახვილება, რადგან ხანდაზმული ადამიანების ჯანდაცვა განსაკუთრებით ყურადსაღები იყო. საჭირო იყო ბავშვობის, ზრდასრული და მოხუცებული ასაკის განხილვაც.

საბჭოს წევრმა ირინე გოცირიძემ დაამატა, იმისთვის რომ სტუდენტმა სარეაბილიტაციო მექანიზმის ცოდნა მიიღოს, მას ესაჭიროება ბიომექანიკის ცოდნა. ამასთანავე ირინე გოცირიძემ აღნიშნა ლიტერატურასთან დაკავშირებული ხარვეზიც და განაცხადა, რომ რუსული ლიტერატურა იყო მოძველებული, რაც სტუდენტს განახლებული ცოდნის მიღების საშუალებას არ აძლევს და რეკომენდირებული იყო ცვლილებების შეტანა ამ კუთხით. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მათ ჰქონდათ ბიომექანიკის კათედრა უნივერსიტეტში და პერიოდულად მოხდებოდა ლიტერატურის განახლება.

საბჭოს წევრი, ელიზბარ ელიზბარაშვილი დაინტერესდა, როგორ აბარებდნენ შუალედურ გამოცდას სტუდენტები კალათბურთში, რომელიც უნივერსიტეტში ისწავლებოდა, რაზეც უნივერსიტეტის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ კალათბურთშიც და სხვა სპორტის სახეობებშიც უშულოდ პრაქტიკულად, თამაშის პროცესით ბარდებოდა გამოცდები.

18:20 საათზე საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა შესვენება.

სხდომა განახლდა 18:40 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარის მოსაზრებით, იქიდან გამომდინარე, რომ წამოიჭრა საკითხები, რომლებიც საჭიროებდა ექსპერტთა პოზიციისა და მათი მოსაზრებების მოსმენას ზეპირ მოსმენაზე მიზანშეწონილი იყო მომხდარიყო აღნიშნული საკითხის განხილვის გადადება. აღნიშნული მოსაზრება გაიზიარეს საბჭოს სხვა წევრებმაც.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ადაპტური ფიზიკური აღზრდისა და რეაბილიტაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვის გადადება.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 11

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

გადაიდოს სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ადაპტური ფიზიკური აღზრდისა და რეაბილიტაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

3. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კომპიუტერული ინჟინერიის ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	კომპიუტერული ინჟინერია (ძირითადი სპეციალობა)
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	კომპიუტერული ინჟინერიის ბაკალავრი
კვალიფიკაციის კოდის მითითებით	0418
სწავლების ენა	ინგლისური
კრედიტების რაოდენობა	240

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

თვითაცილება განაცხადა საბჭოს ორმა წევრმა - დიმიტრი ჯაფარიძემ და სოფიკო ლოზიანიძემ, რადგან დაწესებულებასთან იმყოფებოდნენ შრომით ურთიერთობაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საკითხის განხილვას არ ესწრებოდნენ აკრედიტაციის ექსპერტები. საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ვინაიდან დოკუმენტს ყველა საბჭოს წევრი იცნობდა, შესაძლებელი იყო საკითხის განხილვა.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ექსპერტებს ჯამში შვიდი რეკომენდაცია ჰქონდათ, რომელიც გაითვალისწინეს და საბჭოს გააცნეს ინფორმაცია რეკომენდაციების გათვალისწინების თაობაზე.

პირველი რეკომენდაცია, რომლის თანახმადაც საჭირო იყო ორი კურსის ჩამატება - ოპერაციული სისტემები და ჩაშენებითი სისტემები - დამატებულ იქნა პროგრამაში, რადგან გაზიარებულ იქნა ექსპერტთა მოსაზრება რომ ინტერნაციონალიზაციის პროცესისათვის და ხარისხისათვის ეს მნიშვნელოვანი იყო. გათვალისწინებულ იქნა და გასწორდა კურსის სახელწოდებაში არსებული შეცდომა, სახელწოდება „ინფორმატიკული თეორიები“ შეიცვალა სახელწოდებით - „კომპიუტერული მეცნიერებები“.

მესამე რეკომენდაცია, რომლის მიხედვითაც ექსპერტებისათვის პროგრამა უნდა ყოფილიყო მიწოდებული სემესტრულად და არა როგორც კურსების ჯამი, მიწოდებულ იქნა დაუყოვნებლივ რაც თავად ექსპერტებმაც აღნიშნეს.

მეოთხე რეკომენდაცია მოიცავდა პროცედურების არსებობას ინფრასტრუქტურული გაუმჯობესებისათვის. უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კამპუსში „სან დიეგოს უნივერსიტეტის“ მხარდაჭერით შენდებოდა შენობა

ელექტრონული და კომპიუტერული ლაბორატორიისათვის და შესაბამისად აღნიშნული ხარვეზი გამოსწორდებოდა. რადგან ჯერ მსგავსი აღჭურვილობა უნივერსიტეტს არ ჰქონდა, ჰყავდა სამსახური, რომელიც პასუხისმგებელია ტექნიკურ საკითხებზე.

მეხუთე რეკომენდაცია გულისხმობდა დარგობრივი ლიტერატურის გამდიდრებას. უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განმარტა, რომ ექსპერტებმა ყველა წიგნი, რომელიც სილაბუსში იყო მითითებული შეამოწმეს და ისინი არსებობდა. საუბარი იყო დამატებით ლიტერატურაზე. დარგის სწრაფი განვითარებისა და იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამა ჯერ არ იყო მოქმედი, უნივერსიტეტი თავს იკავებდა დამატებითი ლიტერატურის დაფიქსირებისაგან, რაც სამომავლოდ დაგეგმილი იყო.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ABET და Asen-თან მოლაპარაკება მიმდინარეობდა, რომ საქართველოს ფარგლებში სამ უნივერსიტეტთან - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ექსპერტების რეკომენდაცია იყო, რომ სამ უნივერსიტეტს შეექმნა საერთო ბაზები, რაც საერთაშორისო პრაქტიკას წარმოადგენდა.

უნივერსიტეტის წარმომადგენლების აზრის და ექსპერტების რეკომენდაციის თანხვედრა არ მოხდა შემდეგ საკითხში: ექსპერტები ფიქრობდნენ, რომ ფიზიკა 2 და კალკულუსი, უნდა ყოფილიყო სპეციფიკურად ინჟინრებისათვის, მაშინ როდესაც უნივერსიტეტის წარმომადგენლები თვლიდნენ, რომ უნდა ყოფილიყო ფაკულტეტისათვის. უნივერსიტეტის წარმომადგენელმა მაგალითად მოიყვანა საერთაშორისო პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც ამ საგნებს უნდა მიეცა სტუდენტებისათვის ზოგადი საბაზისო ცოდნა. ამ კუთხით არსებობდა აზრთა სხვადასხვაობა.

ბოლო რეკომენდაციის თანახმად, საჭირო იყო მომდევნო 2-3 წლის მანძილზე არჩევითი კურსების დამატება. ჩამონათვალი რომელიც, ექსპერტებმა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს მისცეს, გამდიდრებულ იქნა და ემატებოდა ისეთი კურსები, როგორიც იყო ხელოვნური ინტელექტი და მანქანური დასწავლა, უსადენო გადაცემის სისტემები და ღრმა დასწავლა და სხვა.

საბჭოს წევრი, ლევან გორდეზიანი დაინტერესდა საათობრივი განაწილებით. უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მათ გაზარდეს საათობრივი განაწილება და ყველგან ჩასმულ იქნა 3, 4 ან 6 საათი.

საბჭოს წევრმა ელიზბარ ელიზბარაშვილმა იკითხა, სემესტრულად გაწერის არ არსებობის შესახებ, რაზეც უნივერსიტეტის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ სემესტრულად გაწერა მოცემული არ იყო ექსპერტებისთვის წარდგენილ დოკუმენტაციაში, რომელიც 3 დღეში იქნა გამოსწორებული და რომ რეალურად პროგრამა სემესტრულად გაწერილი იყო.

საბჭოს წევრმა, გელა გელაშვილმა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს მიუთითა, რომ პროგრამაში საკითხები მეორდებოდა, მაგალითად ელექტრობის საფუძვლები. რაზეც უნივერსიტეტის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ საკითხები ისწავლებოდა სხვადასხვა საგანში და თემატიკა გადანაწილებული იყო კურსებზე. ასევე მიმდინარეობდა ლაბორატორიული მუშაობა.

საბჭოს წევრი ელიზბარ ელიზბარაშვილი დაინტერესდა, როდესაც სწავლების ბოლო სემესტრში, სტუდენტები წარადგენდნენ ჯგუფურ საბაკალავრო ნაშრომს, როგორ დგინდებოდა სტუდენტის ინდივიდუალური წვლილი შესრულებულ ჯგუფურ პროექტში.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ჯგუფური შეფასება ხდებოდა მხოლოდ პროექტის დაცვაში. ინდივიდუალური შეფასება ჩვეულებრივ ხდებოდა ჟურნალის მიხედვით, რომელიც ამოწმებდა სტუდენტის ანალიტიკურ უნარებს. ჯგუფური კომპონენტი პროექტის მხოლოდ დასკვნითი ნაწილი იყო. ჯგუფში მხოლოდ 5 სტუდენტი იყო, რაც კოორდინატორს და ხელმძღვანელს მისცემდა საშუალებას შეეფასებინა, რა წვლილს შეიტანდა თითოეული სტუდენტი პროექტში. უნივერსიტეტის წარმომადგენელმა დასძინა, რომ ჯგუფური

მექანიზმის შეტანა მოხდა განზრახ, რადგან მნიშვნელოვანი იყო ჯგუფური მუშაობის სწავლისათვის.

18:50 საათზე საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა შესვენება.

სხდომა განახლდა 18:56 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კომპიუტერული ინჟინერიის ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის, 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კომპიუტერული ინჟინერიის ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 4 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

საბჭომ ცენტრს მიმართა შუამდგომლობით, რომ პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით განახორციელოს მონიტორინგი 2 თვის ვადაში.

19:00 საათზე საბჭოს თავმჯდომარემ ირაკლი ბურდულმა და საბჭოს წევრმა გელა გელაშვილმა დატოვეს სხდომა.

აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ელიზბარ ელიზბარაშვილმა.

4. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ურბანისტიკის ინგლისურენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ურბანისტიკა
განათლების საფეხური	დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ურბანისტიკის დოქტორი
კვალიფიკაციის კოდის მითითებით	1122
სწავლების ენა	ინგლისური
კრედიტების რაოდენობა	180

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

თვითაცილება განაცხადა საბჭოს წევრმა ლევან გორდეზიანმა, რადგან დაწესებულებასთან იმყოფებოდა შრომით ურთიერთობაში.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, წარედგინათ საბჭოსათვის დასკვნის ძირითადი ასპექტები.

ექსპერტმა განაცხადა, რომ მას ჰქონდა რეკომენდაცია ურბანისტიკის ნაწილში ინტერდისციპლინარულობასთან დაკავშირებით. ექსპერტმა ხაზი გაუსვა პროგრამის იმ ნაწილს, რომელიც შედეგზე გასვლის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი იყო და სადაც დიდი წილი უნდა დათმობოდა დიზაინერულ დისციპლინებს - არქიტექტურის ნაწილს, სადაც პროგრამის მდგრადობა მულტიდისციპლინური თვალსაზრისით გაითვალისწინებდა ცოდნის ამ კომპეტენციას. რადგან არ არსებობდა პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, შესაძლო იყო გართულებულიყო პროგრამის შესაბამისი კომპეტენციის გამომუშავება.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი რეკომენდაცია იყო დიზაინის მიმართულებით პროფესორების სიმცირე, რაც აკადემიური ხელმძღვანელების პრობლემას ქმნიდა. მან ხაზი გაუსვა იმასაც, რომ ლისაბონის უნივერსიტეტის ჩართულობა პროგრამაში მნიშვნელოვანი იყო, თუმცა ყველა სტუდენტს არ ექნებოდა ლისაბონში წასვლის საშუალება. შესაბამისად მნიშვნელოვანი იყო ასეთი სტუდენტების ფაქტორის გათვალისწინებაც.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ექსპერტებს ეთანხმებოდნენ მულტიდისციპლინარულობასთან და პროფესორების სიმცირესთან დაკავშირებით არსებული შენიშვნების ნაწილში, რაც გამოწვეული იყო იმით, რომ თავდაპირველად პროგრამასთან დაკავშირებულ დოკუმენტებში, რომელიც მიეწოდათ ექსპერტებს, მხოლოდ ის პერსონალი დაფიქსირდა, ვინც განაცხადი გააკეთა. თუმცა, პროგრამაში ჩაერთვებოდნენ სხვა ადამიანებიც და პროგრამა იქნება მდგრადი.

უნივერსიტეტის წარმომადგენლები არ ეთანხმებოდნენ რეკომენდაციას, რომ მათ არ ჰყავდათ პერსონალი მულტიდისციპლინური პროგრამის განხორციელებისთვის. უნივერსიტეტის

წარმომადგენელმა ასევე განაცხადა, რომ ლისაბონის უნივერსიტეტთან ხელშეკრულება ცხადყოფდა, რომ ისინი ენდობოდნენ უნივერსიტეტს და აღიარებდნენ მას.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ დოკუმენტები არ გაკეთებულა ექსპერტთა ვიზიტის შემდეგ, ისინი უბრალოდ სრულყოფილი სახით არ იქნა წარდგენილი ვიზიტის დროს.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათ არ ჰქონდათ არქიტექტურა და უნივერსიტეტმა არ უნდა გააკეთოს ის, რისი რესურსიც არ აქვს. ამიტომაც იწყებოდა საერთაშორისო თანამშრომლობა, რომ ეს დანაკლისი შევსებულიყო. ლისაბონთან გაფორმებული 3 ხელშეკრულება ემსახურებოდა გაძლიერებას იმაში, რაშიც მათ კომპეტენცია არ ჰქონდათ. სტუდენტს, რომელიც ლისაბონში ვერ წავიდოდა, რჩებოდა საშუალება ესწავლა ქართულ პროგრამაზე, თუმცა სტუდენტი პროგრამაზე მიდიოდა იმიტომ, რომ მას ჰქონდა წასვლის საშუალება. გარდა ამისა, არსებობდა ერასმუს +-ის ხელშეკრულება, რომელიც ფინანსურ ხარჯებს უნივერსიტეტსაც და სტუდენტებსაც უფარავდა.

ექსპერტთა კითხვაზე, რატომ იწყებოდა აღნიშნული დარგის პროგრამა პირდაპირ დოქტორანტურით, უნივერსიტეტის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ეს ხდებოდა უნივერსიტეტის დამოკიდებულებიდან გამომდინარე, წინამდებარე გამოცდილება ცხადყოფდა, რომ უმჯობესი იქნებოდა ჯერ თავად გაეზარდა დაწესებულებას კადრი, რომელიც მომავალში მაგისტრატურის ან ბაკალავრიატის სტუდენტს ასწავლიდა.

სხდომის თავმჯდომარემ, ელიზბარ ელიზბარაშვილმა იკითხა, ხომ არ შეუქმნია პრობლემა ექსპერტებისათვის იმას, რომ ისინი skype-ით გაესაუბრნენ უნივერსიტეტის ხელმძღვანელს. ექსპერტებმა განაცხადა, რომ ამ კუთხით არავითარი პრობლემა არ ყოფილა და საუბრის ორგანიზება მაღალ დონეზე მოხდა.

ამასთან, ელიზბარ ელიზბარაშვილი დაინტერესდა, ურბანისტიკის დოქტორი ერთდროულად ეუფლებოდა ინტერდისციპლინურ უნარებს, თუ იგი ცოდნას იღრმავებდა და კვლევას ასრულებდა შეთავაზებული ქვედარგებიდან ერთ-ერთში.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამა ყველა ქვედარგს ეხებოდა და დოქტორანტი გაეცნობოდა სხვადასხვა სფეროს, უნივერსიტეტის რესურსებიდან გამომდინარე. დაწესებულების წარმომადგენელმა დაამატა, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ურბანისტიკის დარგში ჰყავდა საერთაშორისო კომპეტენციის დონის მქონე თანამშრომლები. რაზეც ექსპერტმა აღნიშნა, რომ პიროვნება, რომელზეც იყო საუბარი, მას დიპლომში არ ეწერა, რომ კვალიფიკაცია ჰქონდა მინიჭებული ურბანისტიკაში, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ კომპეტენცია ხშირად ფარავდა დიპლომის ხარისხს.

დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე ჩამოთვალა სამეცნიერო კვლევის სფეროები, რომლის დაფარვაც უნივერსიტეტს ამ ეტაპზე შეეძლო: ურბანული დემოგრაფია, ურბანული სოციოლოგია, ლანდშაპტური დაგეგმარება და ლანდშაპტური კვლევები, ურბანული ეკოლოგია და გარემოს კვლევები, ტურიზმის ინდუსტრია და ურბანული მიმართულებები, ურბანული ეკონომიკა, ურბანული მმართველობა და პოლიტიკა.

19:50 საათზე საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა შესვენება.

სხდომა განახლდა 20:19 საათზე.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ურბანისტიკის ინგლისურენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 1 წლის ვადით პირობითი აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრა:

მომხრე - 9
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 22-ე მუხლის მე-3² პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 27⁶ მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ურბანისტიკის ინგლისურენოვან სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას 1 წლის ვადით მიენიჭოს პირობითი აკრედიტაცია.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დასრულებულად გამოცხადდა 20:24 საათზე.

თავმჯდომარე
ირაკლი ბურდული

ელიზბარ ელიზბარაშვილი

მდივანი
გიორგი ოდოშაშვილი